

26  
1864

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1864.

І Ю Л Ъ .



საქართველოს

სახულიერო მახარებელი.

ქუთაისის სასულიერო სემინარიის  
იკლასი

ჩეღღა.

ТИФЛИСЬ.



# ПОДПИСКА

НА

## „ГРУЗ. ДУХ. ВПЪЕТНИКЪ“

продолжается.

Журналъ издается съ Юля 1864 года, по утвержденной Свя-  
тѣйшимъ Синодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлис-  
ской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое из-  
даніе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою  
во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.;  
за одни прибавленія на русск. яз.—1 р. с.

---

სული-მწერს ყურნალზედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქ-  
ტორის სახელზედ. ფასი წლის ყურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ  
მიტანით და სხუა ქუბუცებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტან-  
ვლად და გაგზავნულად ოთხი მან. მარტო რუსულისათვის ერთი  
მანეთი.

---



2202

ГРУЗИНСКІЙ

# ДУХОВНЫЙ ВЪСТАНІЕ,

ЕЖЕМЪСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ,

ИЗДАВАЕМЫЙ ПОДЪ РЕДАКЦІЕЮ

СВЯЩЕННИКА, МАГИСТРА ГЕОРГІЯ ХЕЛИДЗЕ.

ГОДЪ ПЕРВЫЙ



საქართუელთს

სახსულიერო მახარებელი,

თვედასთვე გამოშვალი ჟურნალი

მაღისტრის, მღუდლის გიორგი ხელიძის რედაქციისაგან.




წელიწადი პირველი.

1864.

ТИФЛИСЬ.

ВЪ ТИПОГРАФИИ А. РАМЪДЖІАНЦА И К-О. ამბარცუმ ენფიაგვიანცის ღ კ, სტანბაში.





2022

Печатать дозволяется. Тифлисъ, 20 Іюня 1864 года.

Цензоръ І. Сулхановъ.



წინა-სტუქაობა.

---

უეჭველი-ა, რომ სასულიერო წიგნების და თხზუ-  
ლების კითხვა ძალიან საჭირო და აუცილებელი საქ-  
მე არის მართლ-მადიდებელთა სასოგადოებაში; ცხადი-ა  
ისეცა, რომ ამ ჩუქნს დროებაში აღმოჩნდა დიდი  
მოთხოვნილება და საჭიროება ხალხისა-თჳს ესრეთის  
წიგნების კითხვისა.—დაკმაყოფილება ამა მოთხოვნი-  
ლებისა და განღვიძება ხალხში სასულიერო წიგნების  
კითხვის ხალხისა არის მოვალეობა მწეემსთა და  
მოძღუართა ეკკლესიისათა. ეს არის იმათი სადამრ-  
თი და სამარადისო ზრუნვა და ვალი. ამათგან გან-  
მრავლდნენ და თან-და-თან მრავლდებიან ეოჯელს სა-  
ქრისტიანოში სულის და გულის მარგებელნი და და-  
მატკობობელნი წერილები.

ამ შემთხვევაში მადლობით მოსაკონი და მისა-  
ბამავი-ა დაუცხრომელი შრომა რუსეთის ეკკლესიის



განათლებულთა მწეემსთა და მსახურთა: იმათა ღვაწ-  
 ლმა და მოქმედებამ იმოღვანათ გაახშირა და განამკვე-  
 ნა სასულიერო მწერლობა, რომ ახლა იმოკნება რუ-  
 სულს ენაზედ ყოველ-ნაირა სასულიერო წიგნი.—ამ  
 ენაზედ გამოდიან ახლა რუსეთში სსჭა-და-სსჭა' სასუ-  
 ლერო ჟურნალები—ათხს აკადემიაში, სოკიერთს სე-  
 მინარიებში და რაოდენთამე სამღუდელთა ჰირთ რედაქ-  
 ტიებში; გარდა ამისა ბევრს ეპარხიებში იწეეს გამო-  
 ცემა სასულიერო ჟურნალებისა ანუ განხეთებისა, რომ-  
 მელთაცა უწოდეს სახელად: «ეპარხიის სა-  
 სულიერო უწეება»,—ამისთვის რომ იქ იბეჭ-  
 დება ყოველივე შესანიშნავი სასულიერო მოთხრობა,  
 ვარემოება და საჭიროება ეპარხიის სამღუდელთა და  
 საერო ჰირთა. ამათი გამოცემა ამ დროებაში დიდად  
 საჭიროდ და სასარგებლოდ შერაცხა უმაღლესმა სა-  
 სულიერო მთავრობამ.—

მაგრამ საქართველოში, რომელიცა იმყოფება დღეს  
 რუსეთის მამობრივს მთავრელობასა ქუჭსე, აქამოდე  
 არა ყოფილს არა-ვითარი სასულიერო ჟურნალი ანუ  
 განხეთი განსამრავლებელად და დასამტკიცებელად ხალ-



ხში ქრისტეს სარწმუნოების უმაღლესისა სწავლისა და  
 მეცნიერებისა. საჭიროება ამისი ცხადად ხჩანს.—საქარ-  
 თუჭლოს ხალხსა აქუს თავის საკუთარი ხასიათი, თავის  
 ჩუჭულება და თავის საჭიროება, განსახდურული ადგი-  
 ლობით, მდგომარეობით, დროებით, ენით, სწავლით  
 და სხუა-და-სხუა შინაგანი და გარეგანი მოთხოვნილე-  
 ბით: ესენი ითხოვენ თავიანთს საკუთარს მშრომელებს,  
 თავიანთს, ადგილობრითს სასულიერო საგნების მწერ-  
 ლებს,—მისთვის უფრო, რომ ბევრმა ქართუჭლომა, ანუ უძე-  
 ტესმა ნაწილმა სრულიად არ იცის რუსული ენა და წიგ-  
 ნი; და ქართულს ენაზედ ამ დროებაში თითქმის სრულიად  
 არ იხილება ქრისტეს სარწმუნოების და კეთილ-ხე-  
 რების მასწავლელი წიგნი გინა თხზულება, შესაფერი  
 დროებისა და გასაგონი ხალხისა.—მართალი-ა, განათ-  
 ლებულთა ზირთა ძველისა საქართუჭლომასათა დაკ-  
 ვიტევეს ჩუჭნ მრავალნი ესრეთნი წერილნი, მაგრამ  
 იგინი თითქმის არა-ოდეს არ იუვენ დაბეჭდილნი გან-  
 სამრავლებელად და ადვილ სახმარად სასოგადოებაში;  
 ამისთვის მრავალნი მათგანნი სრულიად დაიკარგნენ სა-  
 ქართუჭლოს შოთიანობის და აღზრების დროს, და



რომელნიც კარდაზნენ, არიან დაწერილნი ძველს ენა-  
 ზედ, და ხელით-მწერალთაგან განრევილნი, — და ამის  
 მიხედვით ძალიან ცოტა ესმის ახლანდელს ხალხს, თუ  
 არ ისწავლა კარგად ძველი ქართული ენა და მისი  
 კანონიერი კილო თავისს ძველს მდგომარეობაში. —  
 თუნიერ ამისა, ტფილისში დიდი ხანი-ა იწევს გა-  
 მოცემა საერო ანუ სახორციელო ჟურნალებისა და გა-  
 ზეთებისა რუსულს, სომხურს და ქართულს ენაზედ, —  
 და ჩუქნს სასულიერო წოდებაში არა სხანს თითქმის  
 არა-ვითარცა სალიტერატურო შრომა და მოქმედება. ამ  
 შემთხვევაში ცხადად მოსაგონი და ფიქრში მოსაუჭა-  
 ნი არის აზრი შემდგომთა სახარების სიტყვებთა: «ძენი  
 ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროს ძეთა ნათ-  
 ლისათა ნათესავსა შორის ძათსა» (ლუკ. თავ. 16, მუხ. 9).  
 ამისთვის რომ საქართულს ძველი დროთგანვე არის  
 ნაქები და მოწონებული ქრისტეს სარწმუნოების სი-  
 უჭარულითა და ერთ-გულობითა, და სასულიერო წიგ-  
 ნების მკითხველნი უფრო ბევრნი არიან მას შინა,  
 ვიდრე სახორციელო ჟურნალებისა. — და ვინ არა ისურ-  
 ვებს, რომ ესრეთნი ჰიქნი და შვილნი ეკკლესიისანი



უფრო და უფრო განმრავლდნენ მართლ-მადიდებელთ  
ქუჩუანაში?—ამის მიხედვით გამოცემა ტფილისში სა-  
სულიერო ჟურნალისა ახალს და დროებითს ანუ ხალ-  
ხის გასაკონს ენახედ ჩუწნ შევრაცხეთ დიდად საჭი-  
როდ და სასარგებლოდ.—

ტფილისის განათლებელს სასოგადოებაში ჩუწნი  
განზრახუა მიიღეს კეთილად, და განსაკუთრებით აქა-  
ურმა სასულიერო მთავრობამ მოაქცია ამას ზედა დი-  
დი და ჯეროვანი უურად-ლება. აქედამ სჩანს, რომ  
ღმთისა მიერ ჩუწნდა შეკონებული აზრი სასულიერო  
ჟურნალის დაფუძნებისა-თჳს ტფილისში აღმოჩნდა სა-  
ჭიროდ და კეთილ-სახმარად, და აღუთქვამს უოველთა  
სარგებლობასა. ახლა მსურველნი ვართ ჩუწნ,—რად-  
განაც კეთილის საქმის სურვილი არის თჳთ კეთი-  
ლი საქმე, სიტევისა-ებრ მოციქულისა (ტიმოთ. თავ. 3,  
მუს. 1),—რომ ჩუწნი შრომა განმრავლდეს უოველგან  
ჩუწნს ქუჩუანაში მაინც და ამის-გამო მოგვეცეს ჩუწნ  
საშუალობა და ხალისი იმის გამოცემისა და უფრო  
და უფრო განშვენებისა.

ხოლო შესახებელად ჟურნალის ენისა წინაპირვე-



ლადვე ვახსენებთ, რომ ჩუწნ გულის-მოღვინებით გა-  
 კვისინჯავს ძველის და ახლის ქართული მწერლობის  
 ენა თავის კილოთ და მართლ-წერის კანონებით,—და  
 ჩუწნი დროების-თჳს და ჩუწნი საგნის შესაფერად ეს  
 ენა აკვირჩევია და გვიძჯობინებია. ვინც გულის-ხმას  
 ჰყოფს და მართლად გაიკებს ამის კილოს და მნიშ-  
 ვნელობას, დიად ადვილი-ა გასაგონად, და თანახმა  
 ქართულის ენის თვისებისა და ღრამატკისა. ჩუწნ  
 დაგვიღვია ის კანონი, რომ არ ვინძართ ამ შეძთ-  
 ხვევაში არცა ერთი სიტყუა და არცა ერთი მარცვ-  
 ლი დაუფიქრებელად და განუსჯელად.—ამასაც ვიტ-  
 ვუთ, რომ თუ საჭირო ყოფილ-იყო და ქვეუნი სა-  
 ხარგებლოდ დაგვენახა, ჩუწნც ადვილად შეგვეძლო წე-  
 რა, მაგალითებრ, ესრეთ: სიტყუა-მეცნიერნო ივერნო,  
 ამერ-იმერნო! ნუ უღებ ვიქმნებით სწავლასა შინა უფ-  
 ლისასა; არამედ დაუამხუნეთ უჯერო იგი სილაღე, და  
 ძალი მცონარებისა; და ვჰქმნეთ ენასა. ზედა ჩუწნსა  
 წიგნნი სახმარ-სასარგებლონი სულთა და კორცთა ჩუწნ-  
 თანნი, რათა განვდევნეთ ბნელი იგი უძეცრებისა ტომ-  
 თავან საქართუწლოსათა, და ვჰსცნათ ყოვლითურთ



სჯული ქრისტესი; რამეთუ ერი იგი, რომელმან სჯული  
 არა იცის, წყეულ-არს, ვითარცა წერილ-არს. ვკრძალ-  
 ნეთ, რათა არა მოვიდეს ჩუწნ ზედა და ძულთა ჩუწნ-  
 თა ზედა. წყევა ესე, არამედ რათა განვერნეთ მისკან,  
 და ბრძენ ვიქმნეთ ღუთისა მიერ უფლისა ჩუწნისა.—  
 ვინ არ იტყვის, რომ ამ ნაირად ანუ ამის მსგავსად  
 წერა სასულიერო წიგნებისა ამ დროებაში იქმნება  
 არა-თუ ურგები ხალხისა-თჳს, არამედ სასაცილო და  
 განსაკიცხავი სარწმუნოებისა, და სამღუდელთა წოდე-  
 ბისა?—მაგრამ ეველას თავის აზრი აქუს და თა-  
 ვის კემოვნება წერაშიც და სხუაშიც; ამისთჳს ჩუწნ  
 სიამოვნებით და ეურად-ღებით მივიღებთ ეოველს კა-  
 ნონიერს და საფუძვლიანს შენიშვნას ჩუწნი შრომის  
 ნაკლულევანებაზედ, და თუ საჭირო იქმნა — შესაფერს  
 ვასუხსაც მიუკებთ; ხოლო უბრალო, უკანონო და უსა-  
 ფუძვლო მანილი: «არა ! არა ! ეს ასე არ ვარგა ! ეს  
 ასე არ უნდა იყოს!»—დარჩება უნასუხოდ და ეურად-  
 ღების მიუქცევებად.— ჩუწნ გვსურს მოქმედება ნი-  
 ჭისა-ებრ და შეძლებისა ჩუწნისა, როგორც ვიბრძა-  
 ნებს წმიდა მოციქული: «კაცად კაცადმან ვითარცა მიი-



და ნიჭი, ეგრეთვე ურთიერთ-არს ამსახურებდით მას,  
 (ა. ჰეტრ. თავ. 4, მუს. 10),—და ვისაც უმეტესი ნიჭი და  
 შეძლება აქუს, ახმაროს და ამსახუროს თავის მამულს,  
 ეხას და სარწმუნოებას ! . .

მღუდელი გიორგი ხედიუ,



ადგილ-სასმენელად გამოხატეს

## მართლ-მადრიდებელის სარწმუნოების

დოქმატიკურისა სწავლისა.

« ფრიად ღიღი შეძენა არს სწავ-  
ლა დოქმატთა. »

წმიდა კირილე იერუსალიმელი.

§ 1. დოქმატი არის მტკიცე, უტყუარი და შეუ-  
ცვალელებელი სწავლა მართლ-მადრიდებელისა ეკლესიისა  
ღმთისათვის და მისი ქმნილებისათვის, — თუ როგორ  
უნდა გვრწამდეს ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიცა  
არის ერთი წმიდა სამება — მამა, ძე და სული წმიდა,  
შემოქმედი ცისა და ქუჩყანისა, ხილულთა უოველთა  
და არა ხილულთა, მხსნელი და მაცხოვარი კაცთა



ნათესავისა, — და რომელიცა ითხოვს ჩუწნკან ღირსად ცნობასა და ჰატვიისცემასა. — ეს სწავლა იწოდება სსჭა-ფრივ დოღმატიკურ ღჟთის-მეტეველებად.

§ 2. დიდი საჭიროება, სარგებლობა, სიამოვნება და ღირსება ისრეთისა სწავლისა სჩანს მისგან, რომ ღმერთი აწის მრავალ-მოწუალე შემოქმედი, კეთილის მყოფელი და მსრუნველი ჩუწნი; მისგან მივიღეთ უოველივე, რაღცა გვაქუს ანუ გვექმნება თღესმე: სული, სორცი, გონება, ცხოვრება, სიმრთელე, ჰატვი, დიდება, მშვენერება და უოველი ქვენიერი სიკეთე, სიამოვნება და კმაყოფილება, და მისგან მოველით ზეციერსა, საუკუნოსა ნეტარებასა; მან შექმნა სახიერებათა თვისითა და მოგვცა ჩუწნი მშვენიერი ესე ქუწყანა და უოველივე, რაღცა აწის მას შინა, რომ ჩუწნი ვიხაროთ, გამხენი ჩუწნი ვადიდოთ და უმეტესსა ცხოვრებასა ღირს ვიქმნეთ. — ვინ იქმნება ისრეთი უგონო და უმაღლო კაცი, რომ აწა სცნას ესე-ვითარი მოწუალე და კეთილის მყოფელი თვისი და აწა ჰატვი სცეს მას უოვლის დო-



ნის მიერთებით? თუ გაცნობა და ზატვიისცემა დიდისა  
ვისივე გაცნობა მიგვაჩნია ქვეყნიერობაში დიდებად,  
ზატვიისცემა და სიამოვნებად, — რაოდენ უფროს  
ამისა იქმნება გაცნობა და ზატვიისცემა ღმერთისა? —  
თუ უცნობელობა, უზატვიისცემელობა და შეურაცხყოფა  
ქვეყნიერისა კეთილის-მყოფელისა არის ცხადი ნი-  
შანი ავ-გაცნობისა და ბოროტ-ზნეობისა, — ღმერთისა უფ-  
რო არა იქმნება?

§ 3. სრული სწავლა დოქმატთა ანუ დოქმატიკუ-  
რი ღმერთის-მეტყველებისა შეიცვის საღმრთო წერილში  
და იმის განმარტებაში — საეკლესიო წიგნებში და წმი-  
დათა მამათა წერილებში; მაგრამ არა უფროს ქრისტიანს  
აქუს შეძლება იმათი წაკითხვისა და გაცნობისა, რომ  
მიიღოს სრული ცნობა ღმერთისა და მისი სარწმუ-  
ნოებისა; ამისთვის საჭირო არის გამოკრება იმათ-  
გან ესრეთისა სწავლისა ღმერთისათვის, ადვილ-განსაკრ-  
ნად და მისაწდომელად უფროსათვის. —

ახლა ვიწყოთ სწავლა ანუ კეთილ-მსახური ლა-  
ზარაკი ჩუქნის მოწყალებით დამართხედ, სადიდებელად მი-



სა და სასარგებლოდ სულისა ჩუწნისა, რომ უძეტესი მოწულებას მისი მივიღოთ ქუწყანაზედ და საუკუნო ცხოვრება დაუძვიდროთ შეცათა შინა.

---

ღ ჳ თ ი ს ა - თ ჳ ს და თ ვ ი ს ე ბ ი ს ა მ ი ს ი ს ა - თ ჳ ს .

§ 4. უოველს კაცს, რომელსაცა სურს სინამოვნება ღჳთისა და ცხოვნება სულისა თვისისა, უნდა სწამდეს ღმერთი ესრეთ: ღმერთი არის თვით თავით თვისით მეოფი სულიერი არსება, უოველთა არსებათაგან და სულთა უზირველესი და უოველთაგან მიუწდომელი, შემოქმედი, გამხენი, და მჭერობელი უოვლისა, ხილულისა და უხილავისა, — მამა, ძე და სული წმიდა, ცხოველს-მეოფელი და განუყოფელი სამება, სამ-ზიროვნად ცნობილი და ერთ-ღჳთაებად თავუანისცემული.

§ 5. ესე სამ-ზიროვანი ღმერთი არის ერთი და არა სამი, — ერთი ბუნებითა, არსებითა ანუ ღჳთაებითა, გარნა სამი ჳირებითა ანუ კვამოვნებითა, — თანა-არსი და თანა-სწორი ერთმანერთისა: ვითარცა არის მამა, ეგრეთივე არის ძე და ეგრეთივე — სული წმიდა, ესე



იგი: მამა არის დაუსაბამო, ყოვლის-შემძლებელი, ყოვ-  
ლად-მეცნიერი, ყოველგან-მყოფი, ყოვლისა შემოქმედი  
და ყოვლისა მპყრობელი, მართლ-მსაჯული, სახიერი,  
მოწყალე, და სხუანი,—და ესრეთნივე არიან მე და სუ-  
ლი წმიდა.

§ 6. გარნა ღმერთი—ერთი ბუნებითა და ღუთაები-  
თა, განირჩევა ზირებითა ანუ გვამოვნებითა, და ზი-  
რების ანუ გვამოვნების თვისებითა, ესრეთ: მამა არის  
შო ბ ე ლ ი, მე მამისაგან უწინარეს საუკუნეთა  
შო ბ ი ლ ი, ხოლო სული წმიდა მამისაგან უწინა-  
რეს საუკუნეთა გ ა მ ო ს რ უ ლ ი.—მე არის შობი-  
ლი მამისაგან უწინარეს საუკუნეთა სულიერად და გა-  
მოუთქმელად, და არა ხორციელად,—ესრეთ, როგორც  
იმობება ანუ გაჩნდება ნათელი ნათლისაგან და ელვა-  
რება ელვარებისაგან; და სული წმიდა არის გამომა-  
ვალი იმავე მამისაგან, და არა მისაგან, ეგრეთვე სუ-  
ლიერად და მიუწდომელად.—და ესრეთ, მამას მიეწე-  
რება შო ბ ა მისა და გამოყვანა სულისა წმიდისა;  
მესა შო ბ ა მამისაგან და არა გამოყვანა სხვისა ვი-



სამე თავით თვისით; სულსა წმიდასა გ ა მ ო ს ვ ლ ა  
 მამისაგან.—ანუ ესრეთ: განსაკუთრებითი თვისება და  
 განჩევან არის: მამისა უ შ ო ბ ე ლ ო ბ ა, მისა—შ ო -  
 ბ ი ლ ე ბ ა, და სულისა წმიდისა—გ ა მ ო მ ა ვ ლ ო -  
 ბ ა; ხოლო საერთო და სასოგადო მათი არის: ღუთა-  
 ება, მეუფება, ყოვლად-შემძლებელობა და მსგავსნი  
 ამისნი.—

ესრეთ ვიწმინდოთ, ერნო ღუთის-მოყვარენო, მრავალ-  
 მოწყალე შემოქმედი ჩუენი, და წმიდის გულით თავ-  
 განისვსტეთ მამასა, და ძესა, და სულსა წმიდასა, სამე-  
 ბასა ერთ-არსებასა და განუყოფელსა!


სწავლა წმიდისა სამებისა-თჳს ძველს ალთქმაში ანუ ქრისტეს  
 შობადმდე.

§ 7. სწავლა წმიდისა სამებისათჳს ანუ ცნობა ერ-  
 თისა ღუთისა სამ-პიროვნად ძველს ალთქმაში არ იყო  
 ისრე გამოცხადებული და თარგმანებით გამოჩენილი,  
 როგორც ახალს ალთქმაში.—ძველს დროში კაცის გო-  
 ნება არ იყო იმოდენათ გახსნილი, რომ შეძლებო-



დათ ჯეროვნად ცნობა ესრეთის დიდის საიდუმლო-  
სა, როგორც არის საიდუმლო წმიდისა სამებისა.  
თვით ღმერთის ხალხს—ურბებსაც არა შეეძლოთ ამისი  
ცნობა; და ამისთვის არცა იმათ ჰქონდათ გამოცხა-  
დებული ეს საიდუმლო: უმისოთაც ხშირად ვარდებო-  
დნენ იგინი მრავალ-ღმერთების ანუ კერპების თაყვანის-  
ცემადი,—და სამ-პიროვნება ღმერთისა ეჩვენებოდა იმათს  
სუსტს გონებას მრავალ-ღმერთებად.—ამის მიხედვით  
ყოველს ძველის აღთქმის წიგნებში შემოქმედი ცისა  
და ქუჩუანისა არის წოდებული სასოგადო ლექსით—  
ღ მ ე რ თ ა დ ანუ უ ფ ლ ა დ, და არა განრჩევით—  
მამად, მერ და სულად წმიდად, ანუ წმიდა სამებად;—  
მაგალითებრ: «დასაბამად ჰქმნა ღ მ ე რ თ მ ა ნ ც ა მ და  
ქუჩუანა: ეტყოდა უ ფ ლ ი მ ე თ ა ის რ ა ი ლ ის ა თ ა; მ ე  
ვ არ უ ფ ლ ი ღ მ ე რ თ ი შ ე ნ ი», და სხუანი.

გარნა არიან ძველს აღთქმაშიც სიტყვები, წინას-  
წარმეტყველთა მიერ თქმულნი, რომელნიცა გვას-  
წავებენ ახალი აღთქმის შემწეობით განრჩევასა ერთ-ღმერთ-  
ებისასა სამ-პიროვნად ანუ სამ-გვამოვნად.—მაგალითებრ:





1.) მოსე წინასწარმეტყველი მოკვითხრობს შექმნის წიგნში, რომ ღმერთსა ჰქონდა რჩევა სხუასთან ვისთანმე კაცის შექმნისათვის და იტყოდა: «უჰქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუწნდა». — აქ უნდა ვიფიქროთ შემდგომი: ვისთან ჰქონდა ღმერთსა ესრეთი რჩევა ანუ ლაჰარაკი, თუ არა იყო მასთან სხუა ჰირი, თანასწორი და თანამსგავსი მისი? არ შეიძლება ვიფიქროთ, ვითომც იმას ჰქონდა რჩევა ანგელოზებთან; ამისთვის რომ ანგელოზები არიან ქმნილებანი ღმერთისანი, და არა ღმერთის ბუნებისანი, არცა თანასწორნი მისნი; ხოლო რჩევა და ლაჰარაკი ღმერთსა არის მის თანასწორ ჰირთან, როგორც კვანიძნებს ამ ლექსის ძალა: «შეუჰქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩუწნდა». ვგრეთვე, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესრეთი დიდი საქმე, რომლისა-თვისცა ღმერთმან ინება შედგენა რჩევისა, ეკითხოს მდაბალს ვინმეს — მონას ანუ ქმნილებას; ხოლო ანგელოზნი არიან მონანი ღმერთის წინაშე. — ამისგან სჩანს, რომ თანასწორნი მრჩეველნი და თანა მხრახველნი ღმერთისანი კაცის შექმნის დროს იუვნენ თვით



თანა-არსნი, თანა-დიდებულნი და თანა-ძლიერნი ზირნი  
წმიდისა სამებისანი, ესე იგი—ძე, რომელმანცა თავს იღვა  
გამოხსნა და აღდგინება დაცემულისა კაცისა, და სული  
წმიდა ცხოველს-მყოფელი, მისა მიერ სოფლად მოვლინე-  
ბული და მადლისა მისისა კაცის გონებაში დამნერგველი.

2. წმიდა დავით წინასწარმეტყველი და მეფე იტ-  
ევის ურიების ბოროტ-განსრახვისათვის იესო ქრის-  
ტესედ ესრეთ: «შეითქვნეს მეფენი ქვეყანისანი, და მთა-  
ვარნი შეკრბეს ერთად უფლისათვის და ცხე-  
ბულისათვის» (ფსალმუნი 2, მუხლი 2).—  
აქ იხსენება და განირჩევა ორი ზირი წმიდისა სა-  
მებისა: უფალი და ცხებული მისი—ქრის-  
ტე.—კიდევ იმავე ფსალმუნში არის თქმული უფლი-  
საგან იესო ქრისტესთვის: «ძე ჩემი ხარი შენ, მე  
დღეს მოშობიე შენ» (მუხლი 7).—აქაც იხსენება  
ორი ზირი ღუთაებისა—ზირველი და მეორე, ესე იგი:  
უფალი—მშობელი მისა, ანუ მამა ღმერთი, და  
ძე მისი—იესო ქრისტე.—ხოლო ერთად წმიდისა სა-  
მებისა-თვის იტევის წმიდა მეფესალმუნე დავით ესრეთ:



«ს ი ტ ე ვ ი თ ა უ ფ ლ ი ს ა თ ა ც ა ნ ი დ ა ე მ ტ კ ი ც ნ ე ს ,  
და ს უ ლ ი თ ა ჰ ი რ ი ს ა მ ი ს ი ს ა თ ა უ რ უ ე ლ ი ძ ა ლ ი ძ ა თ ი »  
(ფსალმუნი 32, მუსლი 6). — აქ განრჩევით იხსენება სა-  
მივე ჰირი წმიდისა სამებისა: უ ფ ა ლ ი , ს ი ტ ე ჟ ა  
მისი, ანუ მე, და ს უ ლ ი ჰ ი რ ი ს ა მ ი ს ი ს ა , ესე იგი —  
სული წმიდა, რომლისათვის კიდევ სხუანაც იტუვის  
წმიდა დაუთი ესრეთ: «ვიდრე მე ვიდრე ს უ ლ ი ს ა  
შენისაგან, და ჰირისა შენისაგან ვიდრე მე ვივლტო-  
დი» (ფსალმ. 138, მუსლი 7). ამ სიტყვებით დაუთი  
წინასწარმეტყველი ცხადად კვანვენებს, რომ ჭეშმარი-  
ტად არის ს უ ლ ი წ მ ი დ ა — მესამე ჰირი წმიდისა  
სამებისა, და აღავსებს უოველსა, ვითარცა ღმერთი. —  
სხუანიცა მრავალნი არიან სიტყვები ძველის აღ-  
თქმის წერილებში, რომელნიცა ცხადად ამტკიცებენ  
ერთ-ღუთაების სამ-გვამოვნებას, თუ ჭაწი გულის-ხმას  
ეოფს და არა დაიბრძავენს გულისა და გონებასა  
ურიებსაგით; — მაგრამ ამათი განხილვან ვრცლად არ  
არის აქ საჭირო; ესეცა საკმაო არის გონიერი კა-  
ცისათვის . . . .

---



სწავლა წმიდისა სამებისათჳს ახალს აღთქმაში ანუ შედგომად  
ქრისტიანებისა.

§ 8. სწავლა წმიდისა სამებისათჳს ახალს აღ-  
ქმაში გამოჩნდა ისრე ცხადად და ნათლად, როგორც  
მსე საშუალ მძვენიერისა საფხულის დღისა.—ეს სწავ-  
ლა მოკვიტანა ქვეყანაზედ, სსუათა ძვირფასთა ნიჭთა  
შორის, თუით უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან. ვახ-  
სენოთ მაგალითად შემდგომი:

1). თუით იესო ქრისტეს ნათლის-ღების დროს  
გამოჩნდა ცხადად საიდუმლო წმიდისა სამებისა ამ სა-  
ხით: მ ა მ ა იტყოდა ზეცით ნათელ-ღებულისათჳს:  
„ესე არს მე ჩემი საყვარელი...“; მე ნათელს-იღებ-  
და იორდანეს წყალში; ხოლო სული წმიდა გარ-  
დამოვიდა ზეცით ტრედის სახით და დაადგა მესა.—  
ამას აღიარებს მართლ-მადრიდებელი ეკლესია თავის  
საკალობელს ტროპარში ქრისტეს ნათლის-ღების  
დღესა.

2). უკანასკნელს დროს, ვნების წინათ, იესო ქრის-  
ტემ აღუთქვა თავის მოწაფეებს მოვლინება ანუ გა-



მოგზავნა მამისაგან სხვისა ნუგეშინის-მცემელისა, ესე იგი სულისა წმიდისა, ამ სიტყვით: « ნუგეშინის-მცემელი იგი ს უ ლ ი წ მ ი დ ა , რომელი მოავლინოს ს ა ხ ე ლ ი თ ა ხ ე მ ი თ ა მ ა მ ა მ ა ნ , მან გასწავოს თქვენ უოველი » (იოან. თავი 14, მუხლი 26.)— ამ აღთქმაში იხსენება და განიჩხევა სამივე ზირი წმიდისა სამებისა: მ ა მ ა , გამოგზავნელი სულისა წმიდისა; მ ე , აღმთქმელი იმის გამოგზავნისა, და ს უ - ლ ი წ მ ი დ ა , გამოგზავნი ნუგეშინის-მცემელად და მარადის მასწავლელად ქრისტეს მოწმუნეთა.

3). ეგრეთვე—როდესაც იესო ქრისტემ, შემდგომად აღდგომისა, უბრძანა თავის მოციქულებს წასვლა ეოველს ქვეყანაში და ქადაგება სახარებისა უოველთა მოწმის წარმართთა, მაშინ მისცა მათ ესრეთი მცნება: « წარუდით და მოიმოწათენით ეოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მ ა მ ი ს ა თ ა , და მ ი ს ა თ ა , და ს უ ლ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა თ ა » (მათეს თავი 28, მუხლი 19).—ეს ბრძანება უფლისა მტკიცედ და შეუცვალებელად აღასრულეს წმიდა მო-



ცოქულებმა: იგინი წარვიდნენ უოველს ქვეყანაში, და  
 ნათელს-სცეს სახელითა წმიდისა სამებისათა უოველ-  
 თა წარმართთა, რომელთაცა იწმუნეს ქრისტე მაც-  
 ხოვარი, და ასწავეს მათ აღსარება და თაყვანის-ცე-  
 მა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა.—ამას კვიბ-  
 ტვიცებს უოველი იმათი სწავლა და წერილები; მა-  
 გალითებრ:—

4) იოანე ღმთის-მეტყველი ჰსწერს თავის ეპის-  
 ტოლეში: «სამნი არიან, რომელნი სწამებენ ცათა მი-  
 ნა, მ ა მ ა , ს ი ტ ე ვ ა , და ს უ ლ ი წ მ ი დ ა :  
 ესე სამნი ერთნი არიან» (1 ეპისტ. იოან. თავი 5  
 მუხლი 8).—ჰეტრე მოციქული ესრეთ აკურთხევს რჩე-  
 ულსა ერსა, ქრისტეს მოწმუნესა: «ჰეტრე მოციქუ-  
 ლი იესო ქრისტესი . . . . წინასწარ-ცნობითა ღმთი-  
 სა მ ა მ ი ს ა თ ა და ს ი წ მ ი დ ი თ ა ს უ ლ ი ს ა თ ა ,  
 დასამორჩილებელად და საჰკურებელად სისხლისა ი ე-  
 ს ო ქ რ ი ს ტ ე ს ი ს ა , მადლი თქვენდა და მშვი-  
 დობა განმრავლდინ» (1 ეპისტ. ჰეტრესი თავი 1, მუხლ.  
 1. 2).—ჰავლე მოციქული ხშირად ხმარობს თავის ეპის-



ტოლებში ამ სიტყვებს: «მაღლი უფლისა ჩუწნისა  
 იესო ქრისტესი, და სიუვარული ღუთისა და  
 მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა,  
 თქუწნ უოველთა თანა» (2 კორინთ. თავი 13, მუხლი  
 13).—ვინ არა განარჩევს ამ სიტყვებში სამთავე ზირ-  
 თა წმიდისა სამებისათა ცხადად და გამოკვლევით?—  
 ვინ არა იცის, რომ უოველი კრება წმიდათა მამათა,  
 უოველი წერილი, შრომა და ღვაწლი მათი, და უო-  
 ველი წესდებულება და ღუთის-მსახურება ქრისტიანე-  
 თა ეკლისიისა და სარწმუნოებისა არის შედგენილი  
 საქებულად და სადიდებულად წმიდისა სამებისა?—ეს  
 არის უმთავრესი და უზირველესი ნიშანი ქრისტია-  
 ნობისა. ღმერთი—სასოგადო ლექსით—სწამს ურიასა და  
 თათარსა, და სხუასაცა ხალხსა; მაგრამ ღმერთი წმიდა  
 სამებად სწამს მხოლოდ ქრისტიანს.—ამისთვის თვით  
 ჩუწნცა, ქრისტიანეო, ჩვენის ნათლის-ღების დროთგანვე  
 მივიღეთ მოვალეობა აღსარებისა და თაუვანის-ცემისა-  
 თვის წმიდისა სამებისა—მამისა, და ძისა, და სულისა  
 წმიდისა—ვიდრე უკანასკნელ აღმოფუძინვად ჩუწნდაძღე.—



მართლ-მორწმუნენო ქრისტიანენო ! დიდი არის სარწმუნოება ჩუქნი ! ამით განვირჩევით ყოველთა ცუდად-მორწმუნეთა ხალხთაგან. — ვეცადნეთ, რომ განვირჩევთ მათგან არა მხოლოდ სარწმუნოებითა, რომელიცა თვინიერ კეთილისა საქმისა მკვდარი არს. — არამედ მშვენიერითა ყოფა-ქცევითა და წესიერითა ცხოვრებითა! —

რადგენივე აღსნა და განმარტება წმიდის სამების საიდუმლოსა.

§ 9. მამა, ძე და სული წმიდა არიან სამნი ჰიერონი—განსხვავებულნი და განთვისებულნი ერთმანერთში; ხოლო არსება და ბუნება მათი არის ერთი—განუყოფელი და განუმორებელი ერთმანერთისაგან; ამისთვის ვამბობთ: ერთი ღმერთი არის სამ-გვამოვნად ცნობილი და ერთ-არსებად თაყვანის-ცემული: რომელივე მსგავსება ამისი იპოვება ნიუთიერებაშიც; მაგა: 1) მ ზ ე შ ი . მხესა აქუს სამი ნიუთი : სიმრველე, სინათლე და სითბო. ეს უნდა ვიკულის-ხმოთ წმიდისა სამებისათვის ამ ნაირად: როგორც სიმრველეში ვერა ვპოვებთ ვერცა დასაწყისსა და ვერცა დასასრულსა, — ეგრეთცა ღმერთი არის დაუსაბამო და



დაუსრულებელი; როგორც მზის სიმრგვლისაგან წარ-  
მოსდგება სინათლე და სითბო,—ეგრეთცა ღმთისა მა-  
მისაგან იშობება მე და გამოვაღს სული წმიდა. სი-  
ნათლე მზისა, წარმოდგარს მისი სხივისა ანუ შუ-  
კისაგან და ყოვლისა ქვეყნისა განმანათლებელი და  
განმაცხოვრებელი, მსგავსება არის მისა ღმთისა, მა-  
მისაგან შობილისა და ქვეყნიერად გამოცხადებულისა;  
ხოლო სითბო მზისა, იმავე სიმრგვლისაგან გამოს-  
რული, მსგავსება არის სულისა წმიდისა, რომელიცა  
იმავე მამისაგან უქამოდ გამოვაღს და დროებითად  
მოველინა კაცთა მისა მიერ, ვითარცა მოციქულებს,  
რომელთა ზედა მოვიდა იგი ცეცხლის სახედ.—რო-  
გორც მზე, შემდგარს სამთა ნივთთაგან, არა განიუო-  
ფება და არცა იხსენება სამ მზეთ, თუძცა თვითოე-  
ულსა მათგანსა აქუს საკუთარი მნიშვნელობა, ესე  
იგი—სხუა არის სიმრგვლე, სხუა არის სხივი, და  
სხუა არის სითბო მზისა:—ეგრეთცა წმიდა სამება,—  
თუძცა სამი არის მას შინა ჰირი,—არა განიუოფება და  
არცა იწოდება სამ ღმერთად, არამედ ერთი არის ღმერთი.



სწავლა მღუღელ-მთავრისაგან, ახლად დადგინებულთა მღუღელთა მიმართ, რათა ყოველთა მღუღელთა აქუნდეს აღწერილი ქარტასა ზედა მცნება ესე, და მარადის წარიკითხვიდეს გულს მოღვინედ. ხოლო მცნება ესე, აქა აღწერილი, არს წმიდათა და ყოვლად ქებულთა და ღმერთ-შემოსილთა მამათა სჯულის კანონთაგან გამოკრებული. (\*)

აქა ესეა მოცემულ არს შენდა მადლი ღმრთისა, სულიერო შეილა, და ღმრთისა მიერ დადგინებულ-ხარ მღუღელად, და საშინელისა მის მსხვერ-ზლისა შემწიკვლად, ხელ-დასხმითა ჩემ სიმდაბლისა მიერ, და მოწმობითა გონიერთა ზეცისა ძალთათა, რომელთაცა თვთ მათ წმიდათაცა ანგულისთა გული უთქვამს მსახურებად მაგისა. ხოლო ამისთვის, რათამცა საქმენი შენნი იყვნენ, შეილა, კეთილ-მასწავლელ, და რათა ისწავებდე ყოველთა სჯულსა უფლისასა, დღე და ღამე, მცნებითა ყოვლად-ქებულთა მოციქულთასა, და კანონთა წმიდათა მამათასა, რომელიცა შეიდათ მსოფლიოთა კრებათა დაამტკიცეს; და კუნადად შემდგომთა ადგილითი-ადგილად შეკრებულთა მათი ბძანებულთა დაამტკიცეს. იგი კეთილად დამარხე, ეგრეთვე რათა შენცა თვთ ისწავებდე საღმრთოსა წერილისაგან,

(\*) ეს ძველი ხელთ-ნაწერი დარიგება მღუღელთ-მთავრისა ახალ-ნაკურთხისა მღუღელისა მიმართ, მივიღეთ მღუღელის ანტონ ტომინისაგან, რამესათვის მადლობას უძღვნის მას რედაქცია, და სთხოვს სხუათაცა პირთა—წარმოგვიგზავნონ ესრეთი წერილები, ვისაცა აქუნდეს, დასაბუქლად და სასარგებლოდ ქუჭყნისა.



და გულის-მოდგინეთ აღმოვიტხოვდეთ, და გონიერებით სცნობდე სიტყუ-  
სა მას წერილისას; ეგრეთვე მათცა ასწავე, და ამცენ სულიერითა შუ-  
თა შენთა, და განუმარტენ კეთილად და უცთომელად. უკეთუ ჰყო ეს-  
რეთ, აცხადონ თავი შენი და იგინიცა ჭეშმარიტად. — ესე არს კეთილ-  
გონიერება, და დათარული იგი სიბრძნე, რომელიცა შეუდგა მცნებასა ღუთი-  
სასა; უკეთუ ამას დაუმარხავ თავსა შენსა და სულსა შენსა სიმდაბლითა  
და მარხვითა, მაშინ კადნიერ იქმნები შენ დალაღობად ღუთისა მიმართისა  
სიბრძნისა, რომელი უფუგელთა მისცემს სიბრძნესა, და კეთილ-გონიერება-  
სა, სიტყუისა-ებრ წინასწარმეტყუელისა, ვითარმედ «ჰყავ მონისა შენისა-  
თანა წყალბისაებრ შენისა, და სიმატილი შენნი მასწავენ მე, რამეთუ  
მე მონა შენი ვარ მაცხროვარ ჩემო, და რათა ვინაებდე სიტყუათა შენ-  
თა ზედა, ვითარცა ვინ ჰბოვის ტყვე დიდ-სალი, უფროს ათასეულისა რქ-  
რომსა და ვეცხლისა». მაშინ მიიღო შენ მისგან ნიჭი უხუბისა, და გეს-  
მას შენ მის მიერ ხმა მეტყუელი შენდა მომართ, ვითარმედ «აჲ ესე  
მომინიჭებეს შენდა მცნება ჩემი გულისა შინა შენსა, და სიტყუანი ბაკე-  
თა შინა შენთა, იტყუდე სიტყუათა ჩემთა, ვითარცა მე შენ გამცენ». —  
ამას მცნებაზედ დაგადვენ შენ, შულო ჩემო, რამეთუ შენ გამოგიჩინა  
ღმერთმან ძმათა შორის შენთა და გიჩინა შენ წინასწარმეტყუელად ერ-  
თა ზედა თვსთა, — რამეთუ არავინ თავით თვსით მიიღებს ბატონსა, არა-  
მედ რომელი წოდებულ-არს ღუთისა მიერ. აწ ამისთვისცა ჯერ-არს შენ-  
და, რათა ჰყო ნება მისი, რომელმან გამოგიჩინა შენ, და რათა ჰმარ-  
თებდე სიტყუათა წმიდისა სახარებისათა, და ნუ გარდასქტევ საღმერთო-  
თა წერილთა ნებისაებრ შენისა რომელი არს ჯერ იყოს სიტყუად, ნუცა  
გონებასა შენსა მიაღვენებ ხორცთა გემოვნებასა. მიიღე მცნება, რომე-  
ლიცა მოცემულ-არს წმიდათაგანცა წერილთა, ვითარცა უწუი ვითარმედ  
კლდეა ზედა არს დამტკიცებელი მცნება ესე, და ტამარი ებე გვამისა  
შენისა ქრისტეს მიერ დამტკიცებულ-არს, და არა ქვიშასა ზედა ხარ აღ-  
შენებელი, რომელ-არს საცთური ამის სოფლისა, და რათა არს მოვი-  
დეს ქარი, და შეგარყიოს შენ, რათა იქმნე შენ შეუწყველ ამას უფულ-



სა ზედა. ხელთ ესე მიგაღებოეს მალღისა მის ძალითა, და განგებოთა მისითა; არა მხოლოდ გაქუნდეს თავისა შენისათჳს ოდენ ზრუნვა, არამედ მოყვასთა თჳსცა გაქუნდეს ესრეთვე; — არათუ მხოლოდსა სიტყუთა ასწავებდე, არამედ საქმიითაცა, და სახე კეთილი აჩვენე, რამეთუ საქმე სარწმუნოებასა განაცხადებებს; ხელთ სარწმუნოება თვნიერ საქმისა მკუდარ არს. — ესრეთ ჯერ არს შენდა, რათა ღირსებისაებრ შენისა, მსგავსად წმიდათა, შეიძინო სიმდაბლე, სიმშჯდე, სიუფარული, მოწყალება, ქაღწულება, მარხვა, მღვიძარება, მოთმინება და განშორება ყოვლისაგან ბოროტისა. ნუ იქმნები მომღერალ, ნუ მრეკველ, და ნუცა მხედველ ესე ვითართა, ნუცა უქმის მეტველ, ნუ უგუნურ და სწავლისათჳს მცონარ, ნუ ამჴარტავან, და გაზგაებულთა ხმითა მეტველ, ნუ მაქებელ თავისა შენისა; ნუ იქმნები მოშურნე, და მაცლიებელ, ნუ მრისხანე და გულფიცხელ, ნუცა უსამართლოდ შემაწუხებელ ვისამე, ნუცა ურცხვინოდ შემოტრალე, და შემქტველ განცხრომისა; არამედ სხუათაცა აყენებდე ესე ვითართა საქმეთა; ნუ იქმნები მიმღებელ ქრთამისა, რათა არა იქმნე აღმასწოფოთებელ; ნუცა მღრტვინავ; ნუცა ვის თავსმდესად დაუდგები, და ნუცა ჭფიცავ, ნუცა მონასა ჭსტემ მოწმუნესა ვისმე ხელითა შენითა, არამედ ამხილე, შერისხე და ნუგეშინისეც; ნუცა პირუტყუსა დაჭკლავ ხელითა შენითა საჭმელად; ნუცა მიიღებ სასმელსა უყამოდ, არამედ ყამსა თჳსსა მიიღებდე სადიდებელად ღუთისა. — უკეთუ იქმნას ქორწილი, და იქმნას განცხრომა ფრიადი, აღსდეგ და წარკვდ სახიდ შენდა. უკეთუ ვინმე ქმრისაგან განტეკებული შეირთოს, ანუ დედაკაცმან განტეკებული კაცი შეირთოს, ანუ ნათესავმან ნათესავთან იქორწინოს, და ანუ ერთმან-ერთში ნათლიაობა იყოს და მძახლობა და ქორწინება ენებოს, — შენ ნუ მიხვალ, და ნუ თანა მოწამე და მოზიარე ექმნები, ნუცა ნებასა დაჭრთავ. ტანთ-სამოსი შენი იყოს ვიდრე კოჭადმდე; ნუცა ბეჭედსა და ნუცა სხუას ამ სოფლის შესამკობელს შეიმოს. უღმრთოთა და მწყალებელთა მეგობრობას განეშორე, და მათთა წესთა დაწერილთა ნუ შეიწყინარებ. რომელნიცა აქამომდე გიქმნიეს ბოროტნი საქმენი



და სიტყუანი, განაგდე იგი შენგან, რამეთუ უმეტრებით გიქმნიეს. — ეს-  
რეთვე ნუ იქმ საქმესა საეშმაკოსა, და სხუათაცა აყენებდე ესე ვითარით,  
რომელ-ანს: მანქანება, მექეობა, მკითხაობა, მებეჭობა, ჯადეგი თაღისმა,  
დაცდა ჩისამე, შელოცვა, საწამლაკი, ვინა რაკვა, და საკრავი რადმე, ანუ  
ზღაპარი და სინმარი, ანუ ნარდი, და ჭადრავი; ესე ყოველი დაუტევე,  
და განშორდი. ცხენთა რბევასა, თამაშასა, და ეშმაკისაგან მო-  
გონებულს ჯამბასს ნუ უყურობ, და ნუცა მომღერალსა, და მოლექსესა  
ბოროტის მთქმელსა ვისმე სწყალობ; და ნუცა ექმნები პირ-მათუერებელ  
კაცთა, ნუცა ჩუჩხნითა, და ხელითა, და თვალითა მსაკურობისათა მნიშ-  
ვნელ იქმნები, რამეთუ წერილ არს ვითარმედ «აღბოცენინ უთვალმან ყო-  
ველი ბაგენი მსაკვარნი»; ნუცა ვის უწესოდ ეჩვენები, რამეთუ წერილი  
იტყვის: «გადა მათდა, რომლისა მიერ საცთური მოვიდეს». სახლი შენი  
სიმაწოლით აღაშენე, და არა უსამართლოდ, და ნაარმევად შეკრებულ-  
ბითა. წარვედ გზასა სიმაწლისასა, უკეთუ გნებავს მცნებათა ღრთისათა  
დამარხვა, რამეთუ არა არს მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს მცნებანი  
მხად სატვირთავნი, გარნა განზრახვანი ჩვენნი არიან ბოროტ. მიიღე  
სწავლა კეთილი: იყავ მომთმინე და სულგრძელ ლოცუასა შინა და ვედ-  
რებასა; ჭკალობდე გონიერად სიმდაბლითა გულისათა ძალისაებრ შენისა;  
მოსწრაფე იყავ მსახურებად დაუზარებელითა გულითა საკურთხეველსა უთ-  
ლისასა; ხოლო რდეს შეხვიდე საკურთხეველსა შინა, შევედ შიშით და  
მოწიწებით, რათა გაქმნდეს სუნიდისი შენი განწმედილ; ერის-კაცსა ნუ  
უტეობ შესკლად საკურთხეველსა შინა, რამეთუ ესრეთ ჯერარს, რათა  
თვინიერ მღჳდელისა, და დიაკონისა და წიგნის-მკითხველისა, და მკა-  
ლობელისა, არავინ შევიდეს, რომელიც ხელდასხმული არ იყოს მღჳდელ-  
მთავრისა მიერ. მნათე, ანუ სხუანი მოსამსახურენი წმიდისა ეკლესი-  
ისანი ჯერარს რათა იყვნენ გამორჩეულ წმიდა და პატრონან, და არარს  
აქმნდეს ბრალი ცოდვისა, და აქმნდეს მათ წესი საღმრთოსა რიგისა  
მღჳდელ-მთავრისაგან, — გარნა უკეთუ არ მღჳდელი და დიაკონი, სხუანი  
ვერ შეხებიან წმიდასა ბარძიმსა, თუშხუმსა და წმიდასა ნაწილსა ზიარე-



ბისას. საკურთხეველსა შინა არა ჟერ არს შეტანა წანდილისა, და არცა  
სხვისა რასამე სასმელისა და საჭმელისა, თვინიერ შესწირავის ღვინისა,  
და სეფისკურისა. საუღარო გაქმნდეს წმიდად დაკვილი, რათა არა იყოს  
მტკერი, და ახლახუნად დაკვიდებული; ხოლო უმეტესად გაქმნდეს განწმუ-  
დილად საკურთხეველი; — რომელიც ხატი, და წიგნი დაძველდეს, განახლეს;  
და უკეთუ ძვირფასისა არა ძალგედვას ბარძიმი და ფეშხუმი, ანუ ტრავპის  
სამკაული ანუ ოდიკი, და სიწმიდეთა სათვარებელნი, და ანუ სამღუდელნი  
შესამოსელნი, ადვილის ფასისა იქონიე: ახალი უნდა იყოს, და არა ჟერ-  
არს დაძველებული და დაბეკული. ტრავპისზედ ნურარას დასდებ, თვინიერ  
ჟვარისა, სახარებისა და ბარძიმი-ფეშხუმისა და იმისის სამკაულისა. ხოლო  
ოდეს წირვა გენებოს, ნურა-ვისთან ზრახვ, ნურცა ვისთანმე ინებებ სიტყუა-  
სა ცილობისასა: უკეთუ ვისთვისმე გაქმნდეს ძვირი, ნუ შესწირავ, რათა  
არა განსდევნო შენგან ნუგეშინის-მტემელი იგი სული წმიდაჲ. შიშით და  
ძრწოლით წარმოუდგე წმიდასა საკურთხეველსა, — და ნუ განიზრახავ  
გულსა შინა შენსა ქვეყნიერსა რასამე; არამედ გაქმნდეს გონება შე-  
ნი ზეტად მიმართ მხედველად მეუფისა შენისა; ხოლო თვალნიცა შენ-  
ნი, და სულიცა შენი, დაუბე წინაშე მეუფისა შენსა, და იქმენ განკრძა-  
ლულ მსახურებასა შინა მისსა; და ემსგავსე მათ, რომელნიცა მღვდმარე  
არიან შიშით და კრძალულებით წინაშე მისსა, რომელ არიან კეთილ-ცხოვ-  
რებულნი. ნუ იქმ რათა კაცთა სათნოებისათვის შეამოკლო ლოცუა რაჲ-  
მე: რომელმანცა ესრეთ ჰყოს, ემხილოს საღმრთოსა წინასწარმეტყველისა-  
გან, ვითარმედ «განაბნინეს ძვალნი კაცთა მართეთანი ღმერთმან»; ხოლო  
რომელიც მღუდელი დაყენებულ-იყოს, მასთან ნუ სწირავ, და ნურცა სხუას  
რასმეს საიდუმლოს ადასრულებ მისთანა; ნურცა გეშინის შენ კაცთაგან,  
და ნურცა გრცხვენის საღმრთოსა სიტყვისა და საქმისათვის. ყოველსა კაც-  
სა მიეტ ზიარება; ხოლო რომელსაცა განონი აყენებდეს, ნუ მისცემ მას:  
სინანული ადასრულებინე, და ეგრეთ მიეტ. თრთხილ-იყავ რათა არა რა ბო-  
როტი შეგეშთხვიოს შენ. რომელსაცა სნეულს მომკვდარის მსგავსად  
ცნობა მიღებული ჰქონდეს, მას ზიარებას ნუ მისცემ; ეგრეთვე თრთხილ-იყავ



რათა სამეუთოსა ნაწილსა თავი არა შეეხოს, ანუ ხსენა რამე. ეგრეთვე რომელიც შენახული ნაწილი გაქმნდეს, იმას რბი არ მოეკიდოს, ან არ გაშავდეს; ეგრეთვე წმიდა ნაწილი არავინ დაანაწილოს თვინიერ მღუდელისა. ეკკლესიაში, ლოცუასა ზედა, ნუ მისცემ ერის კაცთა ნებასა საღაპარაკოდ: ასწავე მათ რათა სულიერად ლოცუასა აღაკლებდენ ღმრთისა მიმართ გულთათა მწუხარითა, ვითარცა იტყვს ოქრო-პირი იოანე საქმეთა შინა მოციქულთას თარგმანში, ვითარმედ რომელიცა უწესოდ ექცეოდეს ეკკლესიასა შინა, ვითარცა კაცის-მკრეფელი, და ბოროტის-მოქმენი, და ყოვლითა ბოროტითა აღსავსენი, მსგავსად მათსა განადგეთ ეკკლესიისაგან, რათა არავინ ხედვიდეს უწესობასა მათსა. მაშინ დაუტყვე ლოცვა შენი, და შერისხენ მათ, რათა სიტყუა შენი მათ სარგებელ ექმნას, და შენ ამისთვის კეთილი მოგენიჭოს. ნუცა წარმართთაგანსა ვისთვისმე შესწირავსა შესწირავ წმიდასა შინა საკურთხეველსა, ნუცა მწვანეობისასა, ნუცა ცხადად მეძავთა და მემრუშეთა-თვის, ნუცა მზარავთა და ავანზავთა, მტაცებულთა, და უსჯულად ვაჭართათვს შესწირავ, ნუცა მძლავრთა და ახგართათვს, ნუცა ქრთამისა და სარგებელისა ამლებულისა, ნუცა მოუცვავთა და ცილის-მწამებულთა, ნუცა მქქრისა მკითხვისა და თილისმის მოქმედთა და მწამლულთა ბოროტთათვს, ნუცა მომღერალისა, მწიკველასა და მემთვრალასათვს, და ნუცა მათთვის, რომელიცა უწესოდ ექცეოდეს მონასს თვსსა, და ანუ თუ ქვრივთა და ობოლთა აჭირვებდეს, ნუცა კაცის-მკრეფელთა, და მარხვის წამრევთათვს, ნუცა ეპისკოპოსისა და მღუდლის ურჩითა და შეურაცხის-მყოფელთათვს შესწირავ, უკეთუ არა შეინახონ: — ამათ ესე ვითარათვს ნუცა შესწირავ, და ნუცა მიიღებ საწირავსა, რამეთუ გექმნების შენ დასასჯელ, და არცა შეწირავს ღმერთი. — სეფისკვერი მიიტანე შენის მოწათვისაგან, რომლისა-ცა უწესოდ კეთილად ცხადვება მისი. რომელსა-ცა ეკკლესიასა ზედა დადგინებულ-აყო, ნუ დაუტყვებ მას, უკეთუ არა ბრძანებითა ეპისკოპოსისა შენისათა, რომლისა მიერ შენდობით და კურთხევით დაიდგინე; ნუცა-რას იქმ თვნიერ მისა: სადაცა დაგადგინოს მუნცა დაადგერ, მოჩხილ ექმენ



ეპისკოპოსსა შენსა, ვითარცა ქრისტესა, და ყოველსა შინა ჰყოფდეს ნე-  
ბასა მისსა; სიუწარული მისი დაიმარხე, და გაქმნდეს შიში მისი, ვითარ-  
ცა მოციქულთა ქრისტესთა ხვიდოდეს მასთანა, და მიიღებდეს სწავლასა და  
მოდგურებასა წმიდათა და ღმერთ-შემოსილთა მამათასა; დაიმარხე მცნე-  
ბა მისი კეთილად, რომელსა კეთილად გასწავებს შენ, რათა ერსაცა ქრის-  
ტესსა ესრეთვე ასწავებდეს. — მივედ სამწყსოთა შენთათანა, უკეთუ გაქმ-  
ნდეს ადგილი სხუასა და სხუასა სოფელსა, ანუ ეკლესიას, და უბა-  
ნი, — იმათ თვითონსა კვირასა, თვითონსა ადგილსა უფოცვიდეს; და ერი-  
სა მიმართ ესე ლოცვა და წირვა ესრეთ აღასრულეს: თვითონსა ადგილ-  
სა ზარი, ანუ სარკველი გაქმნდეს, და ეგრეთ კეთილად შემოჰკრებდეს,  
და ლოცუასა და წირვას უწინ, ანუ შემდგომად, ასწავებდეს ჰიერზედ ჰვა-  
რის გამოსახვასა, წმინდათა ღმერთონსა, მამათა ჩუწნონსა, და მწწამსსა, და  
ეგრეთვე სარწმუნოების აღსაწერებასა ესრეთ ასწავებდეს: მწწამს მამა უმო-  
ბელად, ძე შობილად, და სული წმიდა მხოლოდ მამისაგან გამოსრულად;  
მწწამს უფალი იესო ქრისტე ორის ბუნებით, ორის ნებით და ორის  
მოქმედებით. ესრეთვე ასწავებდეს კვირასა და უქმესა, და დღესასწაულსა  
დღეს აღწერებდეს, და თვითცა იმ დღეს უწირავად ნუ დასდგები, რომ  
ქრისტეს ერთა ხმასა და სიტყუასა შენსა ზედა ღმერთი ადიდონ: შენ  
ესე დიდად სასუიდელო ექმნეს. ესრეთვე ასწავებდეს მარხვისა და სხნილის  
განწესებასა, რომელიცა წმიდათა მამათაგან მოგვცემია. ესრეთვე მტკიცედ  
ამტენ, რათა ოთხსავე მარხვაში, თუ არა, წელიწადში ერთხელ მაინც აღ-  
საწერებ სთქუან. — შენ სამწყსოს ნუ მისცემ ნებასა, რომ ჰვარ-დაუწერელი  
ცოლი შინ მოიყვანოს ვინმემ, ანუ გვერდთ დაუწევს, — არა ჰვარ არს. ეს-  
რეთვე მტკიცედ დაიმარხე ესე, რომელ დაუწებულს ეკლესიასი არა სწი-  
რო, ანუ უკურთხებულსა და უნაწილოს ტრავეზზედ არა სწირო; ეგრეთ-  
ვე სხვის მღუდლის ეკლესიასი, რომელიც მღუდელ-მთავრისაგან მიხარე-  
ბული ჰქონდეს, იმის უნებელად ნუ სწირავ; ნუცა ეპისკოპოსისაგან და-  
კედრებულსა სამწყსოსა ნუწარასა ზედა მოცილე ექმნები, რათა არა  
მამათა მიერსა სიძულელსა შინა შთავარდეს. ხოლო საკუთართა სამწყსო-



თა შენთა კეთილად მწყესიდე, და ასწავებდე: და რომელიცა კეთილსა ზე-  
და მცნებასა შენსა ანა დაადგრეს, და ცოდვას ან განეშოროს, იგი შენ-  
გან და ეკკლესიისაგან განაძე და განიშორე, და უკეთუ შეინანოს, მი-  
უტევე. რომელიცა სამწყისო, გინა მოწყაფე თავისის მღჳდლისაგან დაყუ-  
ნებული იყოს, მას შენ ნუ შეიწყნარებ: ფრთხილ-იყავ და მღვიძარე, რა-  
თა დასარებითა შენითა უნათლავი და უზიარებელი ანა მოკვდეს ვინმე;  
ვიდრემდე გხადონ, ნებითა შენითა მოსწრაფებით მივედ, რამეთუ თვთ  
უფალიცა ჩვენი იესო ქრისტე ნებისთა გარდამოხდა ცხოვრებისათჳს ჩჳს-  
ნისა; და უკეთუ დასარებითა შენითა ესე ვითარა მოკჳედეს ვინმე, გა-  
ნონი მისი შენგან იზღვევის, და ხელისაგან შენისა გამოიძიებს უფალი.  
უკეთუ ანა გაქჳნდეს წიგნი ეპისკოპოსისა, ადგილ-ადგილად ნუ მიმოხ-  
ვალ, და ყოველსავე შინა ჭყოფდე ნებასა მისსა. ესეცა უწყოდე, რომელ  
ეკკლესიასა შინა უკეთუ სხჳა შემკობილება ანა რა გაქჳნდეს, ჯერ ანს  
რათა ხატე ერთი მაცხოვრისა, ერთი ყოვლად წმიდისა, და ერთი მის ეკ-  
კლესიის წმიდისა ესვენოს. ხოლო ქორწინებისათჳსცა ესრეთ გამცნებ,  
და ესრეთ ამცენ და ასწავე სამწყითა შენთა: ანა ჯერ ანს კვირამაღსს  
ჯვარის დაწერა; ანცა დღესასწაულს ძალსა, რომელ ანს მწუხრი, ანა ჯერ  
ანს ჯვარის დაწერა; ანამედ წირვას უკან დასწერე ჯვარი. — ესრეთვე ანა ჯერ  
ანს ჯვარის დაწერა ქრისტეს-შობის მარხვაში ვიდრე ნათლისღების წარგზავ-  
ნადმდე; ეგრეთვე ხორციელის კვირის აღების დამიდგან თომას გვერდი  
განხილვამდის, რომელ ანს კვირაცხოვლობა, მანამდის ჯვარს ნუ დასწერ.  
ამასთან ამასაც გამცნებ რომ ანთან რომელნიმე მძიმენი შეცოდებანი რომ  
თვინიერ ეპისკოპოსისა ანა ძალუძს მღჳდელსა კანონისა მიტემა. ხოლო  
ესე ესრეთ ჭყავ: უკეთუ დაფარული იყოს ცოდვა იგი მისი, ამცენ რა-  
თა საიდუმლოდ ეპისკოპოსისა მიმართ მივიდეს და აღუაროს; და უკე-  
თუ საცხადო იყოს, თვით მივედ ეპისკოპოსისა მიმართ, და აუწყე, და  
იგი შეწყენითა ღჳთისათა კეთილად განაკანონებს სჯულის კანონისაებრ,  
და შემდგომად სინანულისაცა, იგი მისცემს შენდობასა, რამეთუ მათ მის-  
ცემიეს ებე ვითარათა მძიმეთა შეცოდებათა შენდობისა და განხსნისა მი-



ცუმა და ხელმწიფებამ: და შენ ოდენ ნუ იხეობ, შვილო, დაღაცათუ ბევრად ღირსებისა და მეცნიერებისად ხელვიდე თავსა შენსა, მით ნუ იკადრებ ეგვიპტისათა, და ნუცა დაიდებ ქედსა შენსა; გამცნებ რომელ შენდა არა ბრძანებულ არს, და სხუა რომელიცა გიბრძანოს ეპისკოპოსმან შენმან, მისითა შენდობითა და ბრძანებითაცა უნდა გაქუნდეს ნება აღსარების თქმუებისა მოწათუთა შენთა, ვითარცა დასწერს წმიდა მოციქული, ვითარმედ «რომელთადაჲ მიტყმულ-არს განკითხვა სულთა»:— აქა იხილე რათა არა ყოველნივე შეეხნენ კადნიერად და უბრძანებულად ესე ვითართა, და თავს-იდვან თავით თვსით, და კერძარა ძალიდვან ტვირთვად, და ძნიადი დასჯა მიიღონ: ესე ძნელ არს. ხოლო ამას არა თავისა ჩემისა სიქადულად გეტყვი, შვილო, ყოველისა ბრალისა თანამდები; არამედ გამცენ ვითარცა ჯერ იყო, და შენ ისმინე და გულის-ხმა-ჭყავ; ოდეს ამას რა ესრეთ ჭყოფდე, შვილო, მაშინ საცნაურ იქმნეს სიმდაბლე შენი, და შიში ღმრთისა, და მოჩილება უპირატესისა შენისა, სახელისაებრ შენისა; და ამიერიდვან გეწოდოს შენ ეგრეთ, ვითარცა ეტყვის უფალი საღმრთოთა მოციქულთა თვსთა, ესე იგი არს: ნათელი სოფლისა, მარტილი ქუჩისა, მკურნალი სნეულთა, წინამძღვარი ბრძანათა, მომაქცეველ შეტომილთა, გინა წარწემულთა, მქადაგებელ და სასანთლეთვალი გვამისა, ვზა და კარი, კლიტისა მქონებელი, მოქმედ და აღმაშენებელ, და ყოველთა სადგურის მყოფელ, მწყემს და მოძღვარ, ერისთავ, მსაჯულ, უფალ და განწმედელ შემწირველ, ბორცვ მაღალ, სახელ საიდუმლო: სვეტი სიბრძნისა, პირ-ღმრთისა, რომელი მისცემს მშვიდობასა, მშვიდობისა ანგელოს, საყვირ ხმა მაღალ: მაშა ძმათა შენთა, მეოხი სოფლისა და შუამდგომელი, თანა ზიარ მოციქულთა, მენაკეთ მოძღვარ, და წყარო ტბილ. — აწ უკუჩს სახელთა ამით წოდებულ-ხარ, და სახელისა შენისაებრ გაქუნდეს ცხოვრებაცა. ხოლო უკეთუ წყაროსა შინა არა იყოს წყალი, არღარა ეწოდების მას წყარო: ეგრეთვე რომელსაცა მღვდელსა არა აქუნდეს საქმენი კეთილნი, არა არს იგი მღვდელი, არცა ნაწილსა მღვდელობისასა ღირსი. რამეთუ არა მხოლოდ სიტყვით მიენიჭების მად



ლი, აწამედ რომელნიცა ჭყოფენ საქმესა კეთილსა, მათ მიენიჭების მად-  
 ლი ღირსებისა. ხოლო ღმერთმან უწყის რასაცა შემძლებელ ვართ; უკუ-  
 თუ მცნარებითა ჩვენითა დაუტოოთ რაჲმე, და ეგნოს მით ვისმე, ხელ-  
 თაგან ჩუწნთა გამოიძიებს უფალი. უკეთუ ქაღწეულმან არა დაიმარხოს  
 თვისი ქაღწეულება, იგი შეაგინებს გვამსა თვისსა; ეგრეთვე უკეთუ არა  
 დაუიმარხნეთ მცნებანი ესე ვითარნი, სულიცა ჩვენი წარწყმდების, და ხორ-  
 ცთაცა ჩვენთა განონი და სირცხვილი მოგვეცემის. ეგრეთვე შენ, სული-  
 კრე შვილკო და ძმაო, ვინაღვან ამიერ წოდებულ-ხარ შენ მღჳდელად  
 ქრისტესა, და განმგებელად ეკკლესიისა, და მწყემსად ერთა ზედა ზე შვილ-  
